ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1830021

ნომერი: AR1299480

თარიღი : 07.04.2015

გაცემის თარიღი : 14.04.2015

გაცნობის თარიღი : 14.04.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჯიქია , N 9 ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კობა კობალაძე პ/ნ 01009003790
- ვაჟა-ფშაველას მე-7კვ მე-7 კორპ. ბინა 36

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- სამეცნიერო და საგანმანათლებლო ობიექტები
  - უმაღლესი სასწავლებლები

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1663.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის

საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად, სამსახურის მიერ არაერთხელ გეცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ნაგებობა განთავსებულია საკადასტროს საზღვარზე და დღვანდელი მდგომარეობით მისი ღიობები გამოდის #01.14.05.005.055 საკადასტრო ერთეულის მხარეს, რომელიც დატვირთულია სერვიტუტით–სავარაუდოთ მისასვლელი გზის ფუნქციით. აღნიშნული ნაკვეთი საპროექტო ტერიტორიისთვის წარმოადგენს ერთადერთ საზოგადოებრივ სივრცეს. ამასთან, გაცნობებთ, რომ #01.14.05.005.055 საკადასტრო ერთეულის ამონაწერში საჯარო რეესტრიდან ფიქსირდება რამოდენიმე მესაკუთრე. შესაბამისად, საკითხის განსახილველად საჭიროა დამატებით წარმოადგინოთ #01.14.05.005.055 საკადასტრო ერთეულის ყველა მესაკუთრის თანხმობა სარეკონსტრუქციო სამუშაოების წარმოების, ღიობების გაჭრისა და მისი მისასვლელ სამანქანო გზად გამოყენების თაობაზე. თქვენს მიერ წარმოდგენილია #01.14.05.005.005 საკადასტრო ერთეულის მესაკუთრის თანხმობა, რომელიც დღევანდელი მდგომარეობით არ იძებნება. (მოთხოვნილი დოკუმენტაცია უნდა აიტვირთოს ამავე განაცხადზე დამატებითი დოკუმენტის ველში).

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 15 დღიანი ვადა მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოსადგენად. თუ სამსახურის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება წარმოდგენილი დოკუმენტაცია, საკითხი დარჩება განუხილველი. ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება ხსენებული განაცხადის წარმოდგენის შემდგომ.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.